<u>დანართი</u>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-III თავის მოთხოვნათა შესასრულებლად, ამ კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსი, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჩემინავა, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თინათინ შავლაყაძე და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - სასამართლოს მენეჯერი, პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლანა ბერიშვილი.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში და მის შემადგელობაში შემავალ წალენჯიხის მაგისტრატ სასამართლოში 2021 წლის 01 იანვრიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია -31 განცხადება:

1. **,,ინოვაციების და რეფორმების ცენტრიდან" - 1;**
2. **მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პარტია საქართველოდან -1**
3. **კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრიდან - 1**
4. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციდან - 1**
5. **ჟურნალ ინდიგოს ჟურნალისტის მიერ -1**
6. **დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტიდან - 1**
7. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციდან - 1**
8. **,,სოციალური სამართლიანობის ცენტრიდან - 1**
9. **ააიპ დემოკრატიის ინდექსიდან-1**
10. **,,დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრიდან" -1**
11. **,,ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიიდან" - 1**
12. **,,საქართველოს სასამართლოს გუშაგის" - 1**
13. **მოქალაქეებისგან შემოსული 18 განცხადება.**
14. **,,მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" - 1**

აღნიშნული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა - 13;
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -11 ;
არ დაკმაყოფილდა - 7.

დაკმაყოფილდა მოქალაქეების მიერ შემოტანილი 8 განცხადება, სადაც მოთხოვნილია:

1. ინფორმაცია 2016 წლიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ არასრულწლოვანი პირებისთვის სასჯელის სახით შეფარდებული

ჯარიმის, შინაპატიმრობის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შესახებ.

2. 2019 წლიდან 2021 წლის 01 მარტამდე აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ სტატისტიკური მონაცემები;
3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასამართლოს მიერ ოჯახში და ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის საქმეებზე გამოტანილი გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის ასლები;
4. ინფორმაცია 2010 წლიდან დღემდე დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე შემოტანილი სარჩელების რაოდენობის შესახებ;
5. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 2012-2016 წლებში საქართველოს სსკ-ის 144^3 მუხლით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;
6. 2020 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ასლები;
7. 2020-2021 წლებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მიღებული ვერდიქტის ასლი;
8. 2012-2021 წლებში მიღებული 10 განჩინება, სადაც არაკანონიერად არის ცნობილი ბრალდების მხარის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება;
9. **მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პარტია ,,საქართველო''-ს** განცხადება ,,covid19''პანდემიის გამოცხადებიდან 2021 წლის 25 ოტომბრამდე საქართველოს ა.ს.კ-ის 42^{10} და 42^{11} მუხლებით შემოსული საჩივრების რაოდენობის შესახებ;
10. **კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის** მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია 2011 წლის 01 იანვრიდან 2021 წლამდე ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი ვერდიქტის, შერჩევის სხდომების და გამოცხადებული კანდიდატების რაოდენობის შესახებ;
11. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** განცხადება 2020 წლიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით საქართველოს სსკ-ის 248^1 და სსკ-ის 359^1 განხილული საქმეების რაოდენობის, მიღებული შედეგის და დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების სტატისტიკური მონაცემების თაობაზე;
12. **ჟურნალ ინდიგოს ჟურნალისტის** განცხადება სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე შემოსული სარჩელების რაოდენობის შესახებ;
13. **დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის** განცხადება 2015 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 01 მარტამდე საქართველოს სსკ-ის 164^1-ე, 332-ე, 335-ე,337-ე, 342-ე მუხლებით განხილული სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკური მონაცემების მიწოდების შესახებ.
14. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** განცხადება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის არსებული სამართლებრივი დავის არსებობა/არარსებობის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 10 განცხადება:

1.,,ინოვაციების და რეფორმების ცენტრის'' მიერ მოთხოვნილია შემდეგი ინფორმაცია: 2013 წლიდან დღემდე ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე აღძრული სარჩელების და მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობის შესახებ.

2. ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის'' განცხადება 2020 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის ოქტომბრამდე მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკების, მასში შესული ცვლილებებით, მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობის სპეციალიზაციების მიხედვით ცალ-ცალკე, ასევე ინფორმაცია შვებულების, დეკრეტული შვებულების, აცილების და თვითაცილების შესახებ.

3. **ააიპ დემოკრატიის ინდექსი-საქართველოს** განცხადება 2020 წლის მაისსა და ოტომბერში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემების თაობაზე სპეციალიზაციების და თვეების მიხედვით ცალ-ცალკე;

4. **,,მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში''** -ის განცხადება 2018-2021 წლებში საქართველოს სს-ის 108-ე, 179-ე, 180-ე, 182-ე, 194-ე, 332-ე, 335-ე, 338-ე და 341-ე მუხლების საფუძველზე მიღებული განაჩენების ასლის გაცემაზე.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ასევე მოქალაქეების 6 განცხადება:
4.2016 წლიდან 2021 წლის 05 თებერვლადმე გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემოსული სარჩელების რაოდენობა;
5.საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მიღებული განჩინების ასლების გადაცემა;
6.2019 წლიდან 2021 წლის მარტამდე საქართველოს სსკ-ის 137-ე, 143-ე და 143-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;
7.2015 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის მაისამდე სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის შედეგად საქმის პროკურორისთვის დაბრუნების, არსებითი განხილვის და არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ მიღებული განჩინების ასლების გადაცემა;
8.2015 წლიდან 2021 წლის 01 მაისამდე საქართველოს სსკ-ის 137-ე 138-ე და 139-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლები;
9. მოქალაქის განცხადება: გააჩნია თუ არა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს ტექნიკური საშუალებები, რომლითაც დაზარალებული წინასწარ ჩაწერილი ვიდეო რგოლით მოახდენს ჩვენების დემონსტრირებას და ჰქონდა თუ არა სასამართლოს მსგავსი პრეცედენტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად არ დაკმაყოფილდა 5 მოთხოვნა:
1.,,დემოკრატიისა და მმართველობის ცენტრის'' მიერ მოთხოვნილია საქართველოს სსკ-ის 108,179,180,182,194,332,335, 338, 341-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა;
2. ,,ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში'' ზუგდიდის საველე ოფისის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებთან, მიწის რეგისტრაციასთან, რუკაზე მონიშვნასთან, მიწის მესაკუთრეთა რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით.
3. საქართველოს სასამართლოს გუშაგის განცხადება 2021 წლის 18 ოტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით დანიშნული სასამართლოს სხდომების განრიგების გადაცემა

მოსამართლეების და სპეციალიზაციების მიხედვით, როგორც დისტანციურად ასევე არადისტანციურად.
4.მოქალაქის განცხადება 2015 წლიდან 2021 წლის 01 აპრილამდე არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ გამოყენებული დაცვის ღონისძიებების გამოყენების, ბრალდების მხარის მიერ სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე დაყენებული შუამდგომლობების სტატისტიკური მონაცემები;
5. მოქალაქის განცხადება 2021 წლიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით საქართველოს სსსკ-ის 53 პრიმა მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის გამოყენების შესახებ ინფორმაცია.
6. მოქალაქის განცხადება 2012 წლიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ'' საქართველოს კანონის ,,მიწის ნკვეთებზე უფლებთა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონცემების სრულყოფის შესახებ'' საართველოს კანონის მე-9 მუხლის და ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნტის საფუძველზე დაკანონებულ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ წალენჯიხის მაგისტრატ სასამართლოში მოქალაქის მიერ შეტანილია განცხადება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მიღებული განჩინებების ასლების გადაცემის მოთხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა;

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა განცხადებებზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში და ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე საჩივარი და სარჩელი არ შემოსულა.

ნინო ჩემინავა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი
(მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

Nino Cheminava 19001024369

Digitally signed by Nino Cheminava
Date: 2021.12.03 15:02:16